



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 30

2013 წლის 8 თებერვალი

ქალაქი ხაშური



ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი სამი და სამზე მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე წევრისგან შემდგარი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ „ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი სამი და სამზე მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე წევრებისგან შემდგარი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამა პროგრამა საერთო ბიუჯეტით 3000 (სამი ათასი) ლარი (დანართი №1)
2. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ან რაიონულ სასამართლოში(მის: ქალაქი ხაშური კოსტავას ქუჩა №15), ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლომიძე



ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი დაუცველი, რამოდენიმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე წევრისგან შემდგარი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი, სამი და სამზე მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე წევრისგან შემდგარი ოჯახების ფინანსური დახმარება. პროგრამა ეფუძნება საქართველოს მთავრობის 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტს სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესახებ.

მუხლი 2. პროგრამისათვის საჭირო რესურსები და პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის განხორციელებისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული აუცილებელი ხარჯების მოცულობაა 3000 (სამიათასი) ლარი.

მუხლი 3. პროგრამის განხორციელების გზები

პროგრამა განხორციელდება ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში მცხოვრები შესაბამისი სტატუსის მქონე მოსახლეობის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით ერთჯერადად თითოეულ უნარშეზღუდულ პირზე არაუმეტეს 300(სამასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 4. პროგრამის ხანგრძლიობა

პროგრამა დაიწყება 2013 წლის 11 თებერვლიდან და დასრულდება 2013 წლის 31 დეკემბერს.

მუხლი 5. პროგრამით გათვალისწინებული დახმარების გაცემის წესი.

შესაბამისი სტატუსის მქონე ოჯახის წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება;

ბ) შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის დასტური ოჯახის მატერიალური მდგომარეობის შესახებ;

გ) იმ სოციალურად დაუცველი ოჯახებმა რომელთა სარეიტინგო ქულა უნდა შეადგენს 0-დან 100000 – მდე უნდა წარმოადგინოს ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოს ხაშურის რაიონული განყოფილებიდან;

ე) ოჯახში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე წევრების ინვალიდობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები;